PDF Eraser Free

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ნანა შარაბიძე

წევრი

გიორგი ბერია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი[redacted]

სახე: **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☒ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №313756 ბრძანების (01.04.2021) საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - თავმჯდომარე;
2. გიორგი ბერია - წევრი

ჯგუფს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის – პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე დაევალა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „პანაცეა“ მიერ წარმოდგენილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ, რისთვისაც დაწესებულებამ გადაწყვიტა თავის მფლობელობაში არსებული ფართის (360კვ.მ) კეთილმოწყობა (7 სასწავლო აუდიტორია) საგანმანათლებლო მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფმა, დოკუმენტაციის წინასწარი შესწავლის შემდგომ, მოითხოვა გარკვეული დოკუმენტების დამატებით გადმოგზავნა, რაც განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართულობით და ასევე ცენტრის ჩართულობით დაიგეგმა და 2021 წლის 20 აპრილს განხორციელდა დისტანციური გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, ხარისხის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციების (სს „ევექსის ჰოსპიტალები“ და „ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
წარმომადგენლებთან. ასევე, დისტანციურად განხორციელდა დაწესებულების საგანმანათლებლო (სასწავლო და დამხმარე) სივრცის გადამოწმება (დისტანციური გასაუბრების განრიგი დასკვნის პროექტს თან ერთვის).

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

-

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებაში წინა ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 1 და 2 აგვისტოს, რომლის დროსაც საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ გაუცია.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

დაწესებულებამ იმოქმედოს შესაბამისობის გეგმის მიხედვით და დაასრულოს კეთილმოწყობის სამუშაოები გაწერილი ვადების მიხედვით (ივნისი 2021წ.).

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	სფეროს ჯანდაცვა, დეტალურ სფეროს საექთნო საქმე (კოდი 0913)
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება №497, 17/02/2021 წელი
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, თორნიკე ერისთავის №2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	ადგილების რაოდენობა -375; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -100; მოთხოვნილი ადგილების რაოდენობა -475
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	**მეტწილად შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**მეტწილად შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ მოპოვებული ადგილების რაოდენობაა - 375 პროფესიული სტუდენტი; პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა -100; ჯამში მოთხოვნილი ადგილების რაოდენობაა - 475 პროფესიული სტუდენტი.

<u>პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.</u>

კერძოდ:

კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ განსახორციელებლად მისამართზე - თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. N2, გათვალისწინებული აქვს, პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი **8 A გარემო ერთ** შენობაში და პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობის მისაღებად (100 პროფესიული სტუდენტი) **7 ახალი A გარემო**, მეორე შენობაში, დაუსრულებელი სარემონტო სამუშაოებით, რაზეც დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სამუშაოების დასრულების ვადაა - 2021წლის ივნისი.

<u>ექსპერტთა ჯგუფმა, დისტანციური წარმოების ფარგლებში დამატებით მოითხოვა დაწესებულებას წაარმოედინა შესაბამისობის გეგმის მიხედვით უკვე ჩატარებული და 2021 წლის ივნისამდე ჩასატარებელი სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია, რის პასუხადაც დაწესებულებამ წარმოადგინა სარემონტო სამუშაოების ფარგლებში უკვე შესრულებული სამუშაოების ნუსხა და დარჩენილ ვადებში გაწერილი შესასრულებელი სამუშაოები. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციური გასაუბრების დროს დაათვალიერა შენობა და ადასტურებს, რომ ძირითადი სარემონტო სამუშაოები უკვე დასრულებულია და შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადები ეჭვს არ იწვევს.</u>

საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე ერთი <u>**B გარემო**</u> - **კომპიუტერული კლასი** - ლაბორატორია - 25 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც სრულადაა აღჭურვილი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულების მოდულების განსახორციელებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ამრიგად, დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, თავის მატერიალური აღჭურვილობით, სრულად უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა გატარებას, **შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში შესასრულებელი სამუშაოების დასრულების შემთხვევაში.**

საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად დაწესებულებას გაფორმებული და ზოგ შემთხვევაში განახლებულიც აქვს სამედიცინო დაწესებულებებთან შესაბამისი ხელშეკრულებები.

კერძოდ:

განახლდა თანამშრომლობის ხელშეკრულება ორგანიზაციასთან - **სს „ევექსის ჰოსპიტალები“.**

სს ,,ევექსის ჰოსპიტლები“ - 25. 07. 2019 წელი - ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ვადა 3 წლის განმავლობაში. მხარეები თანხმდებიან, რომ ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 კვირით ადრე თუ ერთ-ერთი მხარე არ განაცხადებს ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გრძელდება შემდგომი 3 წლით. ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ კოლეჯისათვის მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა, კვოტის ფარგლებში, იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი, გამოყოს მოდულებით განსაზღვრული სახარჯი მასალები. პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი საექიმო ან საექთნო პროფესიული, მათ შორის ბებიაქალი განათლება, მენტორობის /სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება, საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მიმართულებებში, ინგლისური ენის ფლობა A1 დონე, საოფისე კომპიუტერული უნარების ფლობა, სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური და შემაჯამებელი მოდულების დასახელება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
ხელშეკრულება განახლებულია 19.03.2021 წელს, ორივე მხარე თანხმდებიან, რომ კორპორაცია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას უზრუნველყოფს ჯამურად 475 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ერთდროულად მოემსახუროს არაუმეტეს 180 პროფესიულ სტუდენტს.

<u>არ შეცვლილა ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციასთან</u> - **ა(ა)იპ საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი.**
ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ (HD1-1-2021) 01.01.2021 წელი 2027 წლის 1 იანვრამდე. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი რესურსით (მატერიალური, ადამიანური) განახორციელოს მოდულები, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კომპონენტი:

1) ავადმყოფის მოვლა;
2) შინმოვლა;
3) გერონტოლოგიისა და გერიატრიის საფუძვლები

განახორციელოს პროგრამის სრული ხანგრძლივობის ვადით, მინიჭებული კვოტის ფარგლებში, არაუმეტეს 180 პროფესიული სტუდენტის დაშვება და სწავლება შესაბამის მოდულებზე.

<u>არ შეცვლილა ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციასთან</u> - **ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი.**
„ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ 29. 07. 2019 წელი - მოქმედების ვადა 6 წელი.
ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ კოლეჯისათვის მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა, კვოტის ფარგლებში, იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი. პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი საექიმო ან საექთნო პროფესიული, მათ შორის ბებიაქალი განათლება, მენტორობის /სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება, საექთნო სფეროში მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მიმართულებაში, ინგლისური ენის ფლობა A1 დონე, საოფისე კომპიუტერული უნარების ფლობა, სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

<u>განახლდა ხელშეკრულების პირობები ორგანიზაციასთან</u> - **შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა"**

შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა" ხელშეკრულება 10.06.2019წ., მოქმედების ვადა 4 წელი

ხელშეკრულების თანახმად შემსრულებელს შეუძლია პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს მიერ კოლეჯისათვის მინიჭებული ზღვრული რაოდენობის შესაბამისად მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა, კვოტის ფარგლებში, იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოს ერთი პრაქტიკის ხელმძღვანელი.

პროგრამის განმახორციელებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი საექიმო ან საექთნო პროფესიული, მათ შორის ბებიაქალი განათლება, მენტორობის /სწავლების გამოცდილება, სასურველია მენეჯერულ პოზიციაზე მინიმუმ 6 თვიანი გამოცდილება, საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება კლინიკური და შემაჯამებელი პრაქტიკის მიმართულებებში, ინგლისური ენის ფლობა A1 დონე, საოფისე კომპიუტერული უნარების ფლობა, სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებს.

ხელშეკრულება განახლებულია 19.03.2021 წელს, ორივე მხარე თანხმდებიან, რომ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას უზრუნველყოფს ჯამურად 475 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ყოველ ჯერზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა მოხდება მხარეთა ცალკე შეთანხმებით, მომსახურების დაწყებამდე.

დაწესებულების წარმომადგენლებთან დისტანციური გასაუბრების დროს, ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დაწესებულებას წარმოედგინა მისი ხედვა, თუ როგორ უზრუნველყოფდა სტუდენტთა განაწილებას, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად, სასწავლო გეგმაში გაწერილი მოდულის განხორციელების ვადების შესაბამისად, განსაკუთრებით, ისეთი მოდულების, როგორიცაა "მეანობა-გინეკოლოგია" და "ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია". აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
განპირობებული იყო, ამ მოდულების განმახორციელებელი სამედიცინო დაწესებულებების როგორც სიმწირით (თითო სამედიცინო დაწესებულება ყველა სტუდენტზე: პინეო და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი), ასევე, მათ გამტარუნარიანობასთან დაკავშირებულ საკითხებთან.

ექსპერტთა ჯგუფმა შესთავაზა დაწესებულებას მოეხდინათ სასწავლო გეგმის კორექტირება/დაზუსტება აღნიშნული მოდულებს დაწყების და მიმდინარეობის ვადების თვალსაზრისით. დაწესებულებამ ცვლილებები შეიტანა სასწავლო გეგმაში, განახორციელა მოდულების მიმდინარეობის ვადების და თანმიმდევრობის კორექტირება და შესაბამისად გაიზარდა აღნიშნულ კლინიკებში სტუდენტთა გამტარუნარიანობა.

დისტანციური გასაუბრების დროს, ექსპერტები გაესაუბრენ ორგანიზაციების სს „ევექსის ჰოსპიტალები“ და „ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ წარმომადგენლებს, რომელთაც მათი დაწესებულებების სახელით დაადასტურეს მზაობა პროფესიულ სტუდენტთა მიღებაზე.

გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის ფარგლებში, სს ევექსის ჰოსპიტლებსა (ივ.ბოკერიას სახელობის თბილისის რეფერალური ჰოსპიტალი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, კავკასიის მედიცინის ცენტრი, ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა, ტრავმატოლოგიური ჰოსპიტალი) და ხელშეკრულებით განსაზღვრულ დანარჩენ კლინიკებში (პინეო, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრი, კარიტასი) სტუდენტთა გადანაწილების მაჩვენებლები წლების (2019, 2020 და 2021 საპროგნოზო) მიხედვით, რის საფუძველზეც დადასტურდა, რომ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციები შეძლებენ უზრუნველყონ 475 პროფესიული სტუდენტის მიღება სამი წლის განმავლობაში.

ამრიგად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით (**შესაბამისობის გეგმის მოქმედების ვადის დასრულების მომენტისთვის**), პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის, მათი დატვირთვის გადამოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა განმახორციელებლების პირადი საქმეები და ასევე მათი ჩართულობა კოლეჯის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი, აღნიშნული დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად გაირკვა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობაა - 30 პროფესიული მასწავლებელი (მათ შორის ზოგადი მოდულები - 7 პროფესიული მასწავლებელი (2 - საინფორმაციო ტექნოლოგია , 2 - უცხო ენა, 3- კომუნიკაცია) და თეორიული მოდულები - 23 პროფესიული მასწავლებელი). საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლების კოლეჯში მოქმედ სხვა პროგრამებში ჩართულობის ინფორმაციის გადამოწმებამ აჩვენა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვის ნორმას.

<u>შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.</u>

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებს აქვთ მოდულების წარმართვის, ვალიდური და სანდო შეფასების ინსტრუმენტების შექმნის და პროფესიული სტუდენტების შეფასების გამოცდილება, ხოლო ახალი პროფესიული მასწავლებლების და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების შემთხვევაში კოლეჯის ადიმინისტრაცია პერიოდულად უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free
პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირების გადამზადებას, როგორც შიდა რესურსებით, ასევე გარე ჩართულობით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

საგანმანათლებლო პროგრამას ყავს საზოგადოებრივი კოლეჯის „პანაცეა“ დირექტორის ბრძანებით (№19, 13.03.2021წ.) დანიშნული ხელმძღვანელი, რომლის კვალიფიკაცია (ქ. ზუგდიდის სამედიცინო სასწავლებელი - მედდის კვალიფიკაცია(03.07.1986წ.)) და სამუშაო გამოცდილება (ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების უფროსი მედდა 1985-1989წ.) სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (№41, 03.10.2020წ.) გაწერილ საგანმანათლებლო პროგრამის “საექთნო საქმე” ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის ხელმძღვანელთან დისტანციური გასაუბრების დროს, აღინიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ახალი დანიშნულია, მონაწილეობას არ იღებდა პროგრამის შემუშავების პროცესში, თუმცა ის შეძლებს კოორდინირება გაუწიოს პროფესიული მასწავლებლების საქმიანობას და შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ საგანმამათლებლო რესურსების დამატება/განახლება არ მომხდარა, დისტანციური გასაუბრების ფარგლებში მოხდა საბიბლიოთეკო სივრცის დათვალიერება, ბიბლიოთეკართან გასაუბრება და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსების გადამოწმება. ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

დაწესებულების საგანმანათლებლო და დამხმარე სივრცეები ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულებაში შესაძლებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების დამუშავება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით და შესაბამისად მათთვის აღნიშნულ ადაპტირებულ საგანმანათლებლო რესურსებზე წვდომა სსსმ პირებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა მოთხოვნით, დაწესებულებამ გადმოაგზავნა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომლის <u>შემოსავლის სახეობებში</u> მითითებულია ვაუჩერული დაფინანსება, ხოლო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში <u>ხარჯების სახეობები</u>, როგორიცაა ადმინისტრაციული, საკანცელარიო და საოფისე, კომუნალური და საიჯარო ქირა, დიპლომის/დანართის, პერსონალის განვითარების, სტუდენტური ღონისძიებების, პროგრამის განვითარების, სასწავლო ვიზიტის და პრაქტიკის ორგანიზების და გაუთვალისწინებელი ხარჯები. რენტაბელობის ზღვარია 15.

საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ბიუჯეტით გაწერილი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პსდ-ს მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ;
- პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან გაფორმებული/ განახლებული ხელშეკრულებები;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეას პროფესიულ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- შპს საზოგადოებრივი კოლეჯის პანაცეა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

PDF Eraser Free

- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელთა პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- კოლეჯის მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებლებთან და პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები;
- დისტანციურად საგანმანათლებლო სივრცეების დათვალიერებით.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. დისტანციური გასაუბრების განრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად

25.05.2021წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------